

THE SEARCH OF WOMAN'S PLACE AND FUNCTION IN SHAHRNUSH
PARSIPUR'S NOVEL "TOUBA AND THE MEANING OF NIGHT"

ქალის ადგილისა და დანიშნულების ძიება
შაჰრნუშ პარსიპურის რომანში „თუბა და ღამის არსი“

PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Chavchavadze 1, 0106, Georgia,
+995 551 202 204, maiatalakhadze@yahoo.com
<https://orcid.org/0009-0002-6223-4147>

Abstract. Since the second half of the 20th century, especially after the Islamic Revolution of Iran, Persian “feminine literature” altered the existing expressive forms and enriched the literary works with more individuality. Besides the themes like social problems, the essence of life, prohibited love and loneliness, female writers started to discuss the issues of revolution, emigration, war and domestic violence. Female writers started to speak about topics that were considered taboo in the patriarchal Iranian society. These issues are topical and popular in the modern world: family relations and gender issues, psychological and physical violence, depression, early marriage and so on. Therefore, the number of readers of contemporary Iranian female writers increases on daily basis.

Shahrnush Parsipur is Iranian emigrant writer, representative of the modern Persian prose, the so-called “feminine literature”. The main aim of her works is to investigate a woman’s inner world.

Shahrnush Parsipur’s novel “Touba and the Meaning of Night“ is a literary description of the 20th century history of Iran. On the background of social-political life of Iran, the author outlines issues related to woman’s rights: the role of the society in defining human fate, woman’s fate in particular; the influence of the society affected by tradition and superstitions on the life and soul of a person; the influence of social-cultural changes gained by the national-liberation movement on women’s rights and their place in the family and society.

What is most important, the writer’s world vision is perfectly reflected in the novel: for Shahrnush Parsipur, feminism is far beyond the struggle for women’s rights or the definition of the function of a woman in the society. The writer views woman as a source of love, light and fertility. This very component adds unique charm to her literary works.

Keywords: Feminine literature, women’s rights, Shahrnush Parsipur, feminism, Persian literature.

მაია ტალახაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 1, 0106, საქართველო,
+995 551 202 204, maiatalakhadze@yahoo.com
<https://orcid.org/0009-0002-6223-4147>

აბსტრაქტი. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომ ეტაპზე, თანამედროვე სპარსულ მწერლობაში „ქალთა ლიტერატურის“ ჩამოყალიბებამ სახე უცვალა მანამდე არსებულ გამომსახველობით

ფორმებს და მეტი ინდივიდუალობა შესძინა ნაწარმოებებს. საზოგადოებრივი პრობლემების, ყოფიერების არსის, აკრძალული სიყვარულისა და მარტოობის თემების გარდა, მწერალმა ქალებმა, დროის შესაბამისად, რევოლუციის, ემიგრაციის, ომების, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების განხილვა დაიწყეს. თავიანთ ნაწარმოებებში ისინი საუბრობენ ირანის პატრიარქალური საზოგადოებისთვის აქამდე ტაბუდადებულ თემებზე, რომლებიც ძალიან აქტუალური და პოპულარულია დღევანდელ მსოფლიოში. ეს საკითხებია: ოჯახური და გენდერული ურთიერთობები, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, დეპრესია, ნაადრევი ქორწინებები და სხვა. ამიტომ დღითიდღე მატულობს მათი ნაწარმოებების მკითხველთა რაოდენობა.

შაჰრნუმ ფარსიფური - ირანელი ემიგრანტი მწერალი - თანამედროვე სპარსული პროზის ე.წ. „ქალთა ლიტერატურის“ წარმომადგენელია. მისი ნაწარმოებების მთავარ თემას ქალის შინაგანი სამყაროს კვლევა წარმოადგენს.

შაჰრნუმ ფარსიფურის რომანი „თუბა და ღამის არსი“ მეოცე საუკუნის ირანის ისტორიის ერთგვარი მხატვრული გააზრებაა და მასში, ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე, თვალნათლივ იკვეთება ქალის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები: თუ რა როლი აქვს საზოგადოებას ზოგადად ადამიანის, კონკრეტულად კი - ქალის ბედის განსაზღვრაში; რამდენად დიდია ტრადიციისა და ცრურწმენების ტყვეობაში მყოფი სოციალური გავლენა ადამიანის ყოფასა და სულზე; რამდენად რეალურად აისახა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მოპოვებული საზოგადოებრივ-კულტურული ცვლილებები ქალთა უფლებებსა და ადგილზე საზოგადოებასა და ოჯახში.

რაც მთავარია, რომანში კარგად ჩანს მწერლის ფართო მსოფლალქმა: ფემინიზმი ფარსიფურისთვის ბევრად უფრო მრავლისმომცველი მოვლენაა, ვიდრე საზოგადოებაში ქალის უფლებებისთვის ბრძოლა ან მისი საზოგადოებრივი დანიშნულების განსაზღვრა შეიძლება იყოს. მწერალი ქალს სიყვარულის, სინათლის, ნაყოფიერების წყაროდ მოიაზრებს. სწორედ ეს კომპონენტი სძენს მის შემოქმედებას განსაკუთრებულ ხიბლს.

საკვანძო სიტყვები: ქალთა ლიტერატურა, ქალთა უფლებები, შაჰრნუმ ფარსიფური, ფემინიზმი, სპარსული ლიტერატურა.

შესავალი. საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს კულტურული საზოგადოებისთვის ირანი პოეზიის ქვეყნად მიიჩნეოდა. ირანის ლიტერატურული ცხოვრების წიაღში არსებული პროზაული ძეგლები უმდიდრესი პოეტური მემკვიდრეობის ფონზე თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა. მაგრამ გავიდა ხანი, შეიცვალა რეალობა და საზოგადოებრივი მოთხოვნის, ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური დაკვეთისა და ევროპის გავლენის შედეგად, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად და სწრაფად დაიწყო განვითარება პროზაულმა ჟანრებმა.

თანამედროვე პროზის განვითარების საწყის ეტაპზე ლიტერატურული გარემო მამაკაც მწერალთა სიჭარბით გამოირჩეოდა. საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრობლემაზე, მათ შორის, ე.წ. ქალის საკითხზე, მხოლოდ მამაკაცები წერდნენ. თუმცა „პოსტრევოლუციურ პერიოდში ძალიან იმატა მწერალ ქალთა ხვედრითმა წილმა. საუკუნის ბოლოსთვის კი ისინი იმდენად მომრავლდნენ, რომ მათ ლიტერატურას სალიტერატურო კრიტიკის მიერ, პირობითად, ქალთა ლიტერატურა ეწოდა“ (ბურჯანაძე, 2016: 252). საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული, თანამედროვე სპარსულ პროზას შეემატა მწერალი ქალების სახელები, რომლებმაც ახლებური ხედვა და ახალი ფორმები შესძინეს ლიტერატურას.

ამ ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია ემიგრანტი მწერალი ქალი შაჰრნუმ ფარსიფური. მისი თქმით, „რევოლუციის გამოცდილება, ომი და ეკონომიკური მოვლენები ქალებს მოვლენათა ასპარეზზე ისვრის და ეს, თითქოს,

ისტორიული მოთხოვნა“ (Abedini, 1998: 1109). მწერალი დღესდღეობით ემიგრაციაში, ამერიკაში ცხოვრობს, მუშაობს და აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწევა. იგი ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ ფემინისტ მწერლად მიიჩნევა თანამედროვე სპარსული ლიტერატურის სარბიელზე. ამაზე მისი წიგნების სათაურებიც მეტყველებენ: „ქალები კაცების გარეშე“, „კაცები ქალების პირისპირ“. მუდმივი ოპოზიციონერობის გამო ფარსიფური რამდენჯერმე იჯდა ირანის ციხეში. პირველი კრებული „ქალები კაცების გარეშე“ ირანში გამოიცა 1989 წელს და სწორედ მის გამოსვლას მოჰყვა მწერლის უკანასკნელი პატიმრობა, შემდეგ კი უკვე ემიგრაცია. ამ წიგნის დაწერის გამო მისმა ავტორმა, როგორც პოლიტპატიმარმა, ხუთი წელი გაატარა ციხეში, წიგნი კი აიკრძალა.

ცხადია, რეფორმებმა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურმა ძვრებმა გარკვეული ცვლილებები მოიტანა, თუმცა ქალის პრობლემები არ ამოწურულა და არც ლიტერატურაში თქმულა მათ დასაცავად უკანასკნელი სიტყვა. შაჰრნუმ ფარსიფური ამბობს: „მე ვწერ, რადგან აზროვნება დავიწყე, ჩემი ბრალი არ არის, რომ ასე მოხდა, თითქოს ერთბაშად მხრებიდან მდედრის ტყავი ჩამომგლიჯეს. ვწერ, რადგან ადამიანი ვხდები. მინდა ვიცოდე, ვინ ვარ?“ (Abedini, 1998: 1110)

თანამედროვე მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებების დაცვას. ამ თვალსაზრისით წამყვან პრობლემად სწორედ ქალის საკითხია გამოკვეთილი და ეს არ ითქმის მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებზე. ეს პრობლემა ასევე მტკივნეულად დგას დასავლეთში, სადაც შაჰრნუმ ფარსიფური, მის ნაწარმოებებში წამოჭრილი ფემინისტური საკითხის აქტუალობის გამო, ირანელი ემიგრანტი მწერლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფიგურად არის მიჩნეული.

„ფარსიფურის ნაწარმოებების თითქმის ერთადერთ თემას შეადგენს ქალის შინაგანი სამყაროს კვლევა და მისი ადგილის ძიება ბუნებასა და საზოგადოებაში“ (ბურჯანაძე, 2016: 252).

მინდა აღვნიშნო, რომ ქალის ადგილისა და დანიშნულების ძიება, მისი უფლებებისთვის ბრძოლა ფარსიფურის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უფრო ფართო დიაპაზონს მოიცავს, ვიდრე ამას კერძოდ ფემინისტური მიდგომა წარმოადგენს. მწერლის შემოქმედებაში ნამდვილად ჭარბადაა ფემინისტური ნაკადი, მაგრამ ეს არ არის ფემინიზმი იმ გაგებით, როგორც მას ხშირად თანამედროვე რეალობა განიხილავს. ფარსიფურის ნაწარმოებებში ეს მოვლენა ბევრად უფრო მრავლისმომცველი და ფართოა, ვიდრე ქალის უფლებები ან მისი საზოგადოებრივი დანიშნულების განსაზღვრა. მწერალი ქალს სიყვარულის, სინათლის, ნაყოფიერების წყაროდ მოიაზრებს. სწორედ ეს კომპონენტი სძენს მის შემოქმედებას განსაკუთრებულ ხიბლს.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ეყრდნობა შვეიცარიელი ფსიქოლოგის კარლ გუსტავ იუნგის არქეტიპების კონცეფციას, რომელიც მეცნიერმა ადამიანის ფსიქიკის თეორიაში გამოიყენა.

ჩვენი მეთოდოლოგიური მიდგომა ტექსტების გაანალიზების გზით ქალ პერსონაჟთა არქეტიპების იდენტიფიცირებაში მდგომარეობდა. რომანის მთავარი გმირი, თუბა, ამ კონცეფციის მიხედვით მაძიებლის არქეტიპია, რომლის მთავარი დევიზი ქალის და მამაკაცის თანასწორობა, მთავარი შიში კი - მარტოდ დარჩენაა. მისი მიზანია არსებული რეალობის აღქმის საშუალებით ჩასწვდეს ჭეშმარიტებას, შეცვალოს მოცემულობა და განავითაროს სამყარო.

მსჯელობა. შაჰრნუმ ფარსიფურის რომანში „თუბა და ღამის არსი“ მწერლის ნაწარმოებებიდან ყველაზე მეტად ჩანს ქალის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რაც ავტორისთვის ფასეულობას წარმოადგენს. ამავდროულად, რომანი მოიცავს მთელ მეოცე საუკუნეს და მასში ეტაპობრივად იკვეთება მსოფლიო მასშტაბით დღესდღეობითაც აქტუალური და მტკივნეული გენდერული საკითხის გენეზისი ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე.

ნაწარმოები, როგორც თანამედროვე რომანების დიდი ნაწილი, ორპლანანია. რომანის ზედა შრე - მისი რეალური მოვლენები საუკუნის ისტორიას - კონსტიტუციურ რევოლუციას, ყაჯართა დინასტიის დამხობას, ფეოდალების აღზევებას და ბოლოს, ისლამურ რევოლუციას ეხება, ქვედა შრე კი მწერლისეული იდეის სიმბოლურ-მითოლოგიურ გააზრებას წარმოადგენს და ჯადოსნური რეალიზმის პრინციპითაა აგებული.

მთელი საუკუნის ისტორიული ვნებათაღელვების ფონზე ვითარდება თუბას უსიხარულო ცხოვრების პერიპეტეები. ამ ერთი კერძო თავგადასავლის მიღმა ჩნდება მრავალი სხვადასხვა ქალის სახე და ბედი.

რომანის მთავრი გმირის, თუბას, ახალგაზრდობა კონსტიტუციური რევოლუციის პერიოდს დაემთხვა, რომელმაც, ერთის მხრივ, გარკვეული სიახლეები დანერგა, მეორეს მხრივ კი, დაბნეულობა, ეჭვი და უარყოფითი დამოკიდებულება გააჩინა საზოგადოებაში ყოველგვარი სიახლის მიმართ.

მართალია, კონსტიტუციურმა რევოლუციამ და რევოლუციის შედეგად აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა ტალღამ ღრმა კვალი დატოვა ირანის სინამდვილეში და სახე უცვალა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას, ქალებს შვება მაინც ვერ მოუტანა.

ირანელი ქალისთვის ევროპული დეკოლტეები და შლაპები მხოლოდ გარეგნული სატყუარა აღმოჩნდა, რომელთა უკან მაინც ჯიუტად ცოცხლობდა პატრიარქალური სინამდვილე: ქალი კვლავ საზოგადოების არასრულფასოვან წევრად დარჩა - მუდამ მამაკაცის მორჩილ, მასზე დაქვემდებარებულ და უუფლებო არსებად. „ქალის სიცილი მამაკაცის თანდასწრებით კარგი საქციელი არაა“ (Parsipur, 1989: 95), - ასე მსჯელობენ თუბას ახლობლები.

ოთახში მამაკაცის შემოსვლისას ქალი, თუნდაც სამეფო ჩამომავლობისა იყოს, ვალდებულია, ფეხზე წამოდგეს და ამით გამოხატოს მის მიმართ პატივისცემა. ქმრის მორჩილი უნდა იყოს, მოვალეა აიტანოს ყველაფერი ქმრისა და ოჯახის გამო. ქმრის ღალატზე ბუნებრივ მოვლენად აღიქმება, „ისეირნებს და დაბრუნდება“, - ასე ამშვიდებს საზოგადოება ცოლებს.

ქალი ამ საზოგადოებაში ნივთია, რომელსაც, საითაც უნდათ, იქით გადადგამენ. მათ ბედს სხვა ადამიანები წყვეტენ და მათ მაგიერ სხვები ფიქრობენ. რომანის ისტორიულ-რეალისტური შრის მთავარ თემატურ ხაზს სწორედ უსიყვარულოდ გათხოვილი ქალები, ერთგვარ საქონლად ქცეული სილამაზე, ქალის სრული, მორჩილი კუთვნილება ქმრისადმი და მისი ოჯახისადმი წარმოადგენს.

საკითხავია, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანებად ქცეული წყვილები რატომ აგრძელებენ ერთად ცხოვრებას, ქმრებისგან დამცირებული და ხშირად პიროვნულად სრულიად იგნორირებული ქალები რატომ არ ეყრებიან მათ. ფარისფურის დასკვნა ასეთია: პატრიარქალურ ქვეყანაში ამ მოვლენას სხვადასხვა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, მარტოობის შიში, საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ წამყვანი ამ მიზეზთა შორის ფინანსური დამოკიდებულებაა. ეს ყველაფერი კი იწვევს იმ დამამცირებელ მდგომარეობას, რომელსაც საზოგადოებაში ბედს შეგუება ჰქვია.

რომანის მთავარი გმირი, თუბაც, ერთ-ერთი ასეთი უფლებაყრილი ქალია, რომელსაც სიცოცხლის მიზნად ჭეშმარიტების ძიება დაუსახავს. თუბა ინტუიციით ხვდება, რომ ცხოვრება, ქალის დანიშნულება და როლი არ შეიძლება, მხოლოდ ის იყოს, რაც მისთვის მიუჩენიათ, მაგრამ არ იცის, რისკენ ისწრაფვის, არ იცის, რა შეიძლება იყოს მისი დანიშნულება და იწყებს ძიებას. ახალგაზრდობიდან სიბერემდე, რევოლუციური საუკუნის ქართველებში, ცხოვრების ყველა ეტაპზე სხვადასხვა ადგილას ეძიებს თუბა ჭეშმარიტებას, მაგრამ - ამაოდ.

ოთხ კედელში გამომწყვდეულ ცხოვრებას მიჩვეული, სრულიად დაუცველი აღმოჩნდა მწვავე რეალობის წინაშე. ქმრისგან მიტოვებული, პირველად დგამს დამოუკიდებელ ნაბიჯებს და პირდაპირ ეჩხება საზოგადოების გულგრილობასა და

გაუტანლობას. მას პირველად უჩნდება პროტესტის გრძნობა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ.

„თუბა მოულოდნელად საზოგადოებაში გაერია... ინტერესმა მეზობლების შიშს სძლია“ (Parsipur, 1989: 88). ეს იყო თუბას პირველი ნაბიჯი ჭეშმარიტების ძიების გზაზე.

ფარსიფური ქალის ადგილისა და დანიშნულების ძიების საკითხს საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ფონზე განიხილავს. ცდილობს გააანალიზოს, რა როლი აქვს საზოგადოებას ადამიანთა ბედის განსაზღვრაში. რამდენად დიდია ტრადიციისა და ცრურწმენების ტყვეობაში მყოფი სოციუმის გავლენა ადამიანის ყოფასა და სულზე. მათ შორის, „უკანონოდ“ დაფხმდომებული ქალებისა და მათი ჯერ არდაბადებული შვილების შესაძლო ხვედრზე. ამ ცრურელიგიურობითა და ყალბი ზნეობრიობით შეპყრობილი საზოგადოების „ღირსეული შვილები“ სირცხვილის ჩამოსარეცხად მათივე მშობელი საზოგადოებისთვის მისაღებ, თუმცა ჰუმანისტური თვალსაზრისით სრულიად მიუღებელ საქციელს სჩადიან და სიცოცხლის უფლებას ართმევენ ყველას, ვინც სხვაგვარად იქცევა და მათ არ ჰგავს. ფარსიფურის პერსონაჟებს ერთმანეთისგან, ხშირ შემთხვევაში, მთელი თაობა აშორებს, მათი ტრადიციული შეხედულებები კი კვლავ ურყევია, არ იცვლება.

სეთარე და მარიამიც ამგვარი შეხედულებების მსხვერპლად იქცნენ, განსხვავებული ცხოვრებისთვის დაისაჯნენ. მათთვის არც სააქაოს აღმოჩნდა ადგილი „ზნეობრივ ადამიანებს“ შორის და არც საიქიოს წასულებს ერგოთ საფლავები. ისინი „ღირსეული საზოგადოების“ თვალს მოფარებულ ადგილას, ბერწი ბროწეულის ხის ქვეშ დაიკრძალნენ.

თუბა ამ ტრაგიკული ამბების უშუალო მონაწილეა და ეს ფაქტი ტვირთად აწევს მთელი ცხოვრება. თუმცა იმასაც აცნობიერებს, რომ მისი უმწეო პროტესტი საზოგადოებრივ აზრს წინ ვერ აღუდგება.

„თუბა იძულებული იყო, საზოგადოებაში ეცხოვრა. ვალდებული იყო, ფეხი აეწყო მისთვის. თუ საზოგადოება მარჯვნივ მიდიოდა, მასაც მარჯვნივ უნდა ევლო. თუ საზოგადოება მარცხნივ მიდიოდა - ისიც მარცხნივ უნდა წასულიყო“ (Parsipur, 1989: 406), - გვეუბნება მწერალი.

საზოგადოების ამ დაუნდობლობისა და უმეცრების ფონზე მწერალს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალად საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლება ესახება, რადგან ადამიანთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს სწორედ განათლება თამაშობს. განათლებას საზოგადოებაში ქალის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ერთადერთი გამოსავალი დაუძლეველი ლაბირინთიდან. მისი ნაკლებობა კი ყველა უბედურების თავიდათავია. ირანის ევროპეიზაციის პროცესთან ერთად ქალები საკუთარ ინტერესებზე ფიქრს იწყებენ და ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვიან. უკვე ჩნდება ქალი მოხელე, რაც ირანელი ქალისთვის აქამდე უცხო სტატუსი იყო.

„მანამდე არავის სმენოდა, რომ ქალს დაწესებულებაში, მამაკაცის ადგილას ემუშავა“ (Parsipur, 1989: 302).

ბავშვობაში თუბაც ფიქრობდა, რომ მამის დიდ სურვილს, განათლებული ყოფილიყო, სისრულეში მოიყვანდა, მაგრამ მის ფიქრებს განხორციელება არ ეწერა. ძალიან სურს, მის ოჯახში, მის მეუღლესთან შეკრებილი სტუმრების მსგავსად ჩაერთოს ფილოსოფიურ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საუბრებში. შეეძლოს საკუთარი აზრისა და დამოკიდებულების გამოხატვა მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით ფარდის მიღმა, საჯაროდ. მასაც სურს ჰქონდეს საკუთარი თავის რწმენა, სურს უსმენდნენ და პატივს სცემდნენ ადამიანები. მის ევროპულგანათლებამიღებულ მეუღლეს კი არ რცხვენოდეს თუბას გვერდით ხალხში გამოჩენის. განათლების ნაკლებობა მასში არასრულფასოვნების კომპლექსს იწვევს, რაც, სხვა პრობლემებთან ერთად, საბოლოო ჯამში მის სულიერ მარტოობაში გადაიზარდა.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ფარსიფურისა და მისი პერსონაჟებისთვის ჭეშმარიტების ძიება ქალის მიერ საზოგადოებრივი ადგილის მოპოვებითა თუ დამკვიდრებით არ ამოიწურება. ფარსიფური ამ რომანშიც საუბრობს თავის ერთ-ერთ მთავარ სათქმელზე. კერძოდ, რომ იგი ქალის უმნიშვნელოვანეს ნიშნად ნაყოფიერებას მოიაზრებს. ქალის ეს ფუნქცია მწერლის შემოქმედებაში სრულიად სხვადასხვა სახით გვხვდება: პირდაპირი და სიმბოლური გამოხატულებით, თუმცა ეს ცალკე თემაა და ამ სტატიის ფარგლებში მასზე ფართოდ არ შევჩერდებით.

ამ რომანში თუბას უდიდეს ტკივილად სწორედ მის მიერ საკუთარი მთავარი დანიშნულების გაუცნობიერებლობა იქცა. ჭეშმარიტება იქ აღმოჩნდა, სადაც არ უძებნია: ახლობლებთან ურთიერთობაში, ადამიანურ კავშირებში. ხშირად ყოველდღიურობა, ამქვეყნიური ამაოების რია-რია ქალს ყველაზე მთავარს ართმევს: ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობის სიხარულს, სითბოს, სიყვარულს - აუცხოებს მათგან.

თუბა ცხოვრების მიწურულს აღმოაჩენს, რომ მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები - შვილები, უცხონი გამხდარან დედისთვის. მათი შეხედულებები, ღირებულებები და ცხოვრებისეული მიზნები სრულიად სხვადასხვად ქცეულა.

სიცოცხლის მიწურულსდა ხედავს, რომ შვილებთან სიახლოვის, ურთიერთობის ბედნიერება არასდროს უგრძნია. რომ რაღაც „უფრო დიდის, უფრო ჭეშმარიტის“ პოვნაზე დაფიქრებულს, თვალსა და ხელს შუა შემოეცალა ცხოვრება, შვილების მიმართ გაცემული სიყვარულისა და სითბოს გარეშე, მარტოობაში.

ფარსიფური თავის სათქმელს ბროწეული ხის - სიყვარულის სიმბოლოს - შემოტანით ამძაფრებს:

„ბროწეულის ხეს ნაყოფი გამოესხა, სავსე იყო ბროწეულებით. ბროწეულები სიმწიფისგან დამსკდარიყვნენ და მათი ხასხასა, წითელი მარცვლები მზის ოქროსფერ სხივებში ბრწყინავდნენ. ქალმა გაიფიქრა: ჭეშმარიტება სწორედ ესაა“ (Parsipur, 1989: 490).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიკეთის, სინათლის, სიყვარულისა და ნაყოფიერების თემას, როგორც სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფარსიფურის სხვა თხზულებებშიც. მსხმოიარე ბროწეული, უდავოდ, სიყვარულისა და სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა, მისი ნაყოფი კი - ჭეშმარიტების ზეიმი, რომელსაც თუბა ყველა გამვლელს უზიარებს. მთელი სიცოცხლე ცდილობდა თუბა, ჭეშმარიტების, ღმერთის ძიებისთვის კანონზომიერად დაეკავშირებინა ირგვლივ მიმდინარე მოვლენები, მაგრამ ამაოდ. თურმე ის, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძებდა, გვერდით ჰქონია, მხოლოდ დანახვა იყო საჭირო.

თუბასა და მკითხველის საბოლოოდ ჭეშმარიტებამდე მისაყვანად ფარსიფურს მისტიკური გმირი შემოჰყავს რომანში. ესაა ბატონიშვილი გილი, რომლის სამყარო ქმნის რომანის მითოპოეტურ შრეს და გამოხატავს კიდევ რომანისა და მისი ავტორის ძირითად სათქმელს.

გილის ცხოვრება, ფაქტობრივად, კაცობრიობის განვლილი გზაა, სავსე ომებით და ნგრევით, მტრობით და უკეთურებით, სადაც ადამიანები დამკვიდრებული კანონის თანახმად კლავდნენ თავისსავე მოყვასს.

„იტყოდი სისხლის სუნი გაფრქვეულიყო და მათ ამ სუნის შესუნთქვა სჭირდებოდათ“ (Parsipur, 1989: 252).

თუმცა მუდამ, ყველა ეპოქაში, ყველა ადგილას, გრძელ დამეში სინათლის ნაპერწკლად კიაფობდა სიკეთე, სიყვარული, რაც აძლებინებდა და სიცოცხლის ძალას მატებდა ადამიანს.

ამ ჭეშმარიტებას ჩასწვდა თუბა ცხოვრების მიწურულს. გვიან შეიცნო მან იმ „ღამის არსი“, რომელსაც მთელი სიცოცხლე ეძებდა.

რომანის ბოლო ნაწილი მთლიანად სიმბოლურია, რომელიც ქალის მოგზაურობას წარმოადგენს საკუთარი თავის შესაცნობად: თუბა დედამიწის წიაღში ადამიანის განვითარების კვალდაკვალ - სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ეპოქაში მოგზაურობს. ნიშანდობლივია, რომ ამ ძირითად სიმბოლოში კვლავ მწერლის მთავარი სათქმელია

გაცხადებული: ამ მოგზაურობაში ჭეშმარიტების მიგნება მხოლოდ სიყვარულის ხის - ბროწეულის ხის - ფესვების გავლითაა შესაძლებელი.

დასკვნა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ

- მიუხედავად XX ს-ის ირანში კონსტიტუციური რევოლუციის შედეგად მოპოვებული პოლიტიკურ-სოციალური ძვრებისა, რამაც გარკვეული ცვლილებები მოიტანა ქვეყანაში, რეფორმები ქალთა უფლებების გაუმჯობესებაზე რეალურად არ ასახულა.
- ქალი კვლავ საზოგადოების უფლებო, ყველაზე დაუცველ წევრად დარჩა, რომელსაც, მიუხედავად დიდი სურვილისა, უფლება არ აქვს საკუთარი აზრი და დამოკიდებულება მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით გახსნილად, საჯაროდ გამოხატოს.
- ქალი იძულებულია დაემორჩილოს ტრადიციის სახელით ნებადართულ და გამართლებულ ყველაზე სასტიკ გადაწყვეტილებებსაც კი.
- მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანთა შორის მთელი თაობაა, მათი ტრადიციული შეხედულებები არ იცვლება.
- ქალები იძულებულნი არიან ფეხი აუწყონ საზოგადოებას, რომელიც მზად არის სიცოცხლის უფლება წაართვას ყველას, ვინც მას არ ჰგავს, ოღონდ კი სირცხვილი ჩამორეცხოს, ოღონდ კი „ცოდვა არ გამრავლდეს“.
- ტრადიციისა და რელიგიის ტყვეობაში მყოფი ქალები პატრიარქალური საზოგადოებისა და ოჯახის წნეხისგან გათავისუფლების გზის ძიებაში არიან.
- რაღაც უფრო დიდის, უფრო მნიშვნელოვანის ძიებაში, ამქვეყნიური ყოფიერების მოწყობაზე მოფუსფუსე ქალები ვერ აცნობიერებენ, რომ მათი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანებთან აღარაფერი აკავშირებთ. ჩნდება გაუცხოებისა და მარტოობის მძიმე და გაუსაძლისი განცდა. ისინი ყველაზე ძვირფასს კარგავენ ცხოვრებაში: სიტბოს, სიყვარულს, ურთიერთობებს.
- ამ უცხოობის და მარტოობის ტყვეობიდან ქალები მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს პოულობენ გამოსავალს. მოულოდნელად აღმოაჩენენ, რომ სხნა აქვე ყოფილა, ოღონდ მისი პოვნა და გაგება ყოფილა საჭირო. გაზიარებული სიყვარული აღმოჩნდა ის ფასეულობა, რომლის მიღწევა თუ მოხელთება წარმოადგენს ქალის არსებობის ჭეშმარიტ არსს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბურჯანაძე, მ. (2016). *ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Abedini, H. (1998). *Sad Sal-e dastan Nevisy-e Iran*. Tehran: Nashr-e Cheshme.

Jung, C. G. (1981). *Archetypes and the Collective Unconscious*. Princeton: Princeton University Press.

Parsipur, S. (1989). *Tuba va Mana-ye Shab*. Tehran: Entesharat -e Asirak.

REFERENCES:

burjanadze, m. (2016). *akhali da uakhlesi sp'arsuli lit'erat'uris ist'oria [New and the modern history of Persian literature]*. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

Abedini, H. (1998). *Sad Sal-e dastan Nevisy-e Iran*. Tehran: Nashr-e Cheshme.

Jung, C. G. (1981). *Archetypes and the Collective Unconscious*. Princeton: Princeton University Press.

Parsipur, S. (1989). *Tuba va Mana-ye Shab*. Tehran: Entesharat -e Asirak.